სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე - ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტში, ფოლკლორისტიკის კათედრა, ასოცირებული პროფესორის („ა"კატეგორია); ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტში, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, ასოცირებული პროფესორის („ა"კატეგორია) და თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა"კატეგორია) - სამსახურში მისაღებად რექტორის 2025 წლის 20 ოქტომბრის N250/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 10 ნოემბრის N79/2025 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული კომისიის სხდომის

№3 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი **"5" დეკემბერი, 2025 წ.**

9.00 საათი, თსუ V კორპუსი, აუდიტორია №317

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან ხუთივე წევრი:

1. ნანა გაფრინდაშვილი, თსუ პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ქეთევან სიხარულიძე, თსუ ასოც. პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ეკატერინე ნავროზაშვილი, თსუ ასოც. პროფესორი (კომისიის მდივანი);
4. მარიამ მირესაშვილი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (კომისიის წევრი);
5. ლევან ბებურიშვილი, თსუ ასოც. პროფესორი (კომისიის წევრი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, ფოლკლორისტიკის კათედრაზე, ასოცირებული პროფესორის („ა"კატეგორია, 1 საშტატო ერთეული), ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო სამეცნიერო ინსტიტუტში, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე, ასოცირებული პროფესორის („ა"კატეგორია, 1 საშტატო ერთეული); თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის („ა"კატეგორია, 1 საშტატო ერთეული) სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.

2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ნანა გაფრინდაშვილის, ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ინსტიტუტებში გამოცხადებულ საკონკურსო ადგილებზე სულ შემოვიდა 3 განცხადება:

ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო- სამეცნიერო ინსტიტუტი, ფოლკლორისტიკის კათედრა, ასოცირებული პროფესორი („ა"კატეგორია) – 1 საშტატო ერთეული; შემოსული განცხადება - 1, კონკურსანტი - ხვთისო მამისიმედიშვილი.
ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, ასოცირებული პროფესორი („ა"კატეგორია) — 1 საშტატო ერთეული; შემოსული განცხადება - 1, კონკურსანტი - თამარ შარაბიძე.
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი, ასოცირებული პროფესორი („ა"კატეგორია) - 1 საშტატო ერთეული; შემოსული განცხადება - 1, კონკურსანტი - ნინო წერეთელი.
საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან, კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებით დადგენილი წესით, წერილობითი დადასტურებით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის (კერძოდ, სამი კანდიდატის პაკეტის) გახსნის შემდეგ კომისიის წევრებმა დაწვრილებით შეისწავლეს კანდიდატების მიერ წარმოდგენილი საბუთები.

კონკურსანტმა ხვთისო მამისიმედიშვილმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1). კონკურსანტ ხვთისო მამისიმედიშვილის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგინებას მხარი დაუჭირა კომისიის ხუთივე წევრმა.
საკონკურსო კომისიამ კონკურსანტ ხვთისო მამისიმედიშვილის **სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის** შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ფოლკლორისტიკის კათედრაზე) ა კატეგორიის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში. აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება. აქვს საავტორო სილაბუსები. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტ ხვთისო მამისიმედიშვილის **სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში** კვლევითი პოტენციალი დინამიკაში ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა, არის ხუთი მონოგრაფიისა და არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი. პუბლიკაციები გამოქვეყნებული აქვს საკმაოდ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებსა და გამოცემებში, რომლებიც შესულია აღიარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში, მონოგრაფიები და ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად

შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. კონკურსანტი არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი; ასევე, არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი.
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.
წარმოდგენილ კონცეფციაში კონკურსანტს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში.
გასაუბრების ეტაპზე ხვთისო მამისიმედიშვილმა რამდენიმე საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის ფოლკლორისტიკის კათედრის სასწავლო კურსებზე, სასწავლო-მეთოდურ საქმიანობაზე, სტუდენტთა სასწავლო ექსპედიციებსა და მათ მნიშვნელობაზე, წარმოადგინა რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. ხვთისო მამისიმედიშვილი არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში არის მნიშვნელოვანი უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისათვის.
კომისიის ხუთივე წევრმა დაუსვა შეკითხვები და მოისმინეს ვრცელი და არგუმენტირებული პასუხები ზემოხსენებული პრობლემატიკის ირგვლივ.
გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა **(5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე)** დაუჭირა მხარი ხვთისო მამისიმედიშვილის კანდიდატურას. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კონკურსანტმა თამარ შარაბიძემ შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1). კონკურსანტ თამარ შარაბიძის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგინებას მხარი დაუჭირა კომისიის ხუთივე წევრმა.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის **სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის** შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში, აქვს მრავალწლიანი პროფილური სტაჟი, კარგად იცნობს ვაკანსიის პროფილს, მის მიერ წასაკითხ სასწავლო დისციპლინებში ასახელებს საგნებს, რომლებიც ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებშია შეტანილი და თავად აქვს მათი წაკითხვის დიდი გამოცდილება, აქვს საავტორო სილაბუსები. წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.

კონკურსანტის **სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში** იკვეთება კვლევითი სიახლეების ძიება და მათი სასწავლო-სამეცნიერო პრაქტიკაში რეალიზება. იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა. ბოლო 6 წლის განმავლობაში კონკურსანტი არის 3 წიგნის თანაავტორი, 4 წიგნისა და არაერთი პუბლიკაციის ავტორი. საერთაშორისო პუბლიკაციები გამოქვეყნებული აქვს საკმაოდ მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შესულია აღიარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში, ნაშრომები შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. კონკურსანტი არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი; ასევე, არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი.
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით, მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ კონცეფციაში კონკურსანტს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია დარგის განვითარებაში თავისი კვლევის თემატიკით, ტექსტებზე მუშაობის გამოცდილებითა და სასწავლო პროცესში ჩართულობით. კონკურსანტი წლებია იკვლევს ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემებს, რომლებიც რამდენიმე ძირითად მიმართულებას მოიცავს: ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხები და, აქედან გამომდინარე, ლიტერატურულ ურთიერთობათა და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემატიკა. კონკურსანტი არის 11 სამეცნიერო გრანტის ხელმძღვანელი და მონაწილე. 4 დარგობრივი სახელმძღვანელოს ავტორი. ასევე, ავანგარდიზმისა და მოდერნიზმის კვლევის ევროპული ქსელსა (EAM) და კომპარატივისტული ლიტერატურის ასოციაციის (GCLA) წევრი. თანამშრომლობს თურქეთის რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურ ცენტრთან და ატარებს ლექციებს ქართულ ლიტერატურაზე.

გასაუბრების ეტაპზე თამარ შარაბიძემ აღნიშნა, მისი ხელმძღვანელობით ბოლო 6 წლის განმავლობაში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო კონფერენცია - „XIX საუკუნე _ ეპოქათა მიჯნა", ასევე, მისი რედაქტორობით გამოიცემა ამავე სახელწოდების სამეცნიერო ჟურნალი. კონკურსანტი უახლოეს მომავალში გეგმავს დამხმარე სახელმძღვანელოს მომზადებას საგნისათვის „სატირა და იუმორი მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში". ასევე, დაწყებული აქვს კვლევა მე-19 საუკუნის ცენზურის ისტორიის მიმართულებით.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ მას აქვს სიღრმისეული საგნობრივი ცოდნა და გამოცდილება საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების გაძღოლისა. არის მიზანდასახული და აქვს რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. არის ის კადრი, რომლის საქმიანობა საუნივერსიტეტო სივრცეში ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებას. პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კომისიის ხუთივე წევრმა დაუსვა შეკითხვები და მოისმინეს ვრცელი და არგუმენტირებული პასუხები ზემოხსენებული პრობლემატიკის ირგვლივ.
გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა **(5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე)** დაუჭირა მხარი თამარ შარაბიძის კანდიდატურას. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

კონკურსანტმა ნინო წერეთელმა შეფასების პირველ ეტაპზე (წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის შეფასება) I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №1). კონკურსანტ ნინო წერეთლის შეფასების ფორმას კომისიის წევრებმა უყარეს კენჭი. კონკურსანტის მეორე ეტაპზე პრეტენდენტად წარდგინებას მხარი დაუჭირა კომისიის ხუთივე წევრმა.

საკონკურსო კომისიამ კონკურსანტის **სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის** შეფასებისას გაითვალისწინა, რომ ის უკვე იკავებდა თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობას და ჩართულია საკონკურსო პროფილის სასწავლო კურსების განხორციელებაში. მის მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსების სილაბუსები ფორმით და შინაარსით სრულად აკმაყოფილებს თსუ-ში მოქმედ მოთხოვნებს სასწავლო კურსის სილაბუსის მიმართ.
კონკურსანტის **სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში** კვლევითი პოტენციალი კარგად ჩანს; იკვეთება, რომ კონკურსანტს კარგად ესმის საკუთარი დარგის მნიშვნელობა. მოძებნილი აქვს ინტერდისციპლინური კვლევითი პროფილი საკუთარ შრომებში, პუბლიკაციები აქვს მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, რომლებიც შესულია აღიარებულ საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში. ნინო წერეთლის სამეცნიერო ნაშრომები შესრულებულია მაღალ დონეზე და ისინი სრულად შეესაბამება ვაკანსიის მიმართულებას. შესაბამისად, მისი სამეცნიერო მუშაობა ხელს შეუწყობს ახალი კვლევითი თემატიკის შემოტანას სამეცნიერო სივრცეში, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესების ინტეგრაციას. კონკურსანტი არის არაერთი საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელი; ასევე, არაერთი საკვალიფიკაციო ნაშრომის რეცენზენტი, დოქტორანტთა კვლევითი პროექტებისა და სემინარების რეცენზენტი.
უცხოეთის საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრებთან ურთიერთობის გამოცდილებით, კონკურსანტი წლების განმავლობაში თანამშრომლობდა ლატვიის უნივერსიტეტისა და ბალტიის აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების თარგმანის ცენტრთან, ვენტსპილსის თარგმანის ცენტრთან, ვილნიუსის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის (კაუნასში) სამეცნიერო ცენტრთან, დაუგავპილსის უნივერსიტეტის (ლატვია) შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ცენტრთან, ლიეპაიას უნივერსიტეტის(ლატვია) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო ცენტრთან, ვარმიისა და მაზურის უნივერსიტეტთან (პოლონეთი, ოლშტინი), აშშ საზღვაო აკადემიის სლავისტიკის ცენტრთან, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით,

მზარდი სამეცნიერო პროგრესით კონკურსანტს უდავოდ შეუძლია ხელი შეუწყოს თსუ-ს საერთაშორისო სამეცნიერო რეიტინგის ამაღლებას.

წარმოდგენილ კონცეფციაში კონკურსანტს კარგად აქვს გამოკვეთილი საკონკურსო პროფილი და რეალისტურად მსჯელობს, თავად რა წვლილის შეტანა შეუძლია ლიტერატურული ურთიერთობებისა და თარგმანმცოდნეობის დარგის როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული ნაწილის სინთეზირებულად განვითარებაში.
კონკურსანტის სამეცნიერო კვლევების კონცეფცია წარმოაჩენს კონკურსანტის ფართო თვალსაწიერს და რეალიზებად სამეცნიერო პროექტების განხორციელებას ისახავს მიზნად. უახლოეს მომავალში კონკურსანტი გეგმავს ზეპირი თარგმანის თანამედროვე სახელმძღვანელოს მომზადებას (ინგლისური ენის ბაზაზე), რომელიც სტუდენტებს მიაწვდის უახლეს სამეცნიერო ინფორმაციაზე დაფუძნებულ თეორიულ მასალას და დაეხმარება პრაქტიკული მთარგმნელობითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაში. დასაბეჭდად მომზადებული წიგნის „საბჭოთა ცენზურა და თარგმანი, 20-30 იანი წლები", წიგნი 1, რომელშიც განხილულია მთავლიტის ისტორია და მისი მიმართება თარგმანთან) გამოცემას, მე-20 საუკუნის 40-50-იანი წლებში საქართველოსთან ვიქტორ შკლოვსკის ლიტერატურული და შემოქმედებითი კავშირების, „ვერცხლის საუკუნის" მნიშვნელოვანი წარმომადგენლების - ი. ნაპელბაუმისა და ფ. ნაპელბაუმის შემოქმედების კვლევას. თანამედროვე ამერიკელი პოეტის, რონალდ ბეიზის, პოეზიის თარგმანების დასრულებასა და ცალკე წიგნად გამოცემას.

გასაუბრების ეტაპზე ნინო წერეთელმა აღნიშნა, რომ 2008 წელს მონაწილეობდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო პროგრამის „თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა" შექმნაში, რომლის ამუშავებამ ამ დარგის განვითარების კიდევ უფრო მეტი პერსპექტივები გააჩინა საუნივერსიტეტო სივრცეში. პროგრამა წარმატებით ართმევს თავს თავის უმთავრეს მიზანს, უმაღლესი განათლების სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით მოამზადოს დარგის კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. დარგის განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო პროცესების ინტეგრაცია და სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება, უცხოელი კოლეგების ჩართვა და ერთობლივი კვლევების წარმოება ან ერთობლივი საგრანტო პროექტების მომზადება. კონკურსანტმა წარმოადგინა რეალისტური სამეცნიერო-კვლევითი გეგმა, რომელიც თანხვედრაშია საუნივერსიტეტო საკონკურსო სასწავლო-სამეცნიერო პროფილთან. ნინო წერეთელი არის ის კადრი, რომლის მუშაობა საუნივერსიტეტო სივრცეში მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისათვის.
კომისიის ხუთივე წევრმა დაუსვა შეკითხვები და მოისმინეს ვრცელი და არგუმენტირებული პასუხები ზემოხსენებული პრობლემატიკის ირგვლივ.
გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა **(5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე)** დაუჭირა მხარი ნინო წერეთლის კანდიდატურას. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან.

ერთხმად დაადგინეს:

1. ა. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ფოლკლორისტიკის კათედრა) **ასოცირებული პროფესორის ა კატეგორიის** 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ხვთისო მამისიმედიშვილი.**

   ბ. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში (ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა) **ასოცირებული პროფესორის ა კატეგორიის** 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **თამარ შარაბიძე.**

   გ. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში **ასოცირებული პროფესორის ა კატეგორიის** 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა **ნინო წერეთელი.**

2. კომისიის შემაჯამებელი სხდომის ოქმი **გამოქვეყნდეს თსუ-ს ვებგვერდზე და** გადაეცეს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: /პროფ. ნანა გაფრინდაშვილი/

თავმჯდომარის მოადგილე: /ასოც. პროფ. ქეთევან სიხარულიძე/

კომისიის მდივანი: /ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი /

კომისიის წევრები: /პროფ. მარიამ მირესაშვილი /

/ასოც. პროფ. ლევან ბებურიშვილი/

თარიღი: 5.12.2025